



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 47
25/08/2017

47-04-4-201708251631



ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ, სადაც შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების ჩატარება

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-9-ე ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვროს ის შენობა-ნაგებობები, სადაც შესაძლებელია საარჩევნო სუბიექტის მიერ წინასაარჩევნო ღონისძიებების ჩატარება, თანახმად დანართი №1-სა.
2. წინამდებარე განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიასა და ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. წინამდებარე განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.keda.ge) გამოქვეყნება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „იმ შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ სადაც შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების ჩატარება“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 13 ივნისის №49 განკარგულება.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

შენობა-ნაგებობები, სადაც შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების ჩატარება

№	ტერიტორიული ორგანოების დასახელება	საარჩევნო სუბიექტის მიერ ამომრჩეველთან შეხვედრისათვის შესაბამისი შენობა-ნაგებობების დასახელება	დასახელებული შენობა-ნაგებობის მისამართი	შენიშვნა
1	დ.ქედის ადმინისტრაციული ერთეული	ა.(ა).ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა	დ. ქედა, შოთა რუსთაველის ქ. № 12	
		სოფლის სახლი	სოფელი ზენდიდის	
		სოფლის სახლი	სოფელი ხუნკუდა	
		სოფლის სახლი	სოფელი გულეზი	
		სოფლის სახლი	სოფელი არსენაული	
2	დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	სოფლის სახლი	სოფელი დანდალო	
		სოფლის სახლი	სოფელი ტაკიძეები	
		სოფლის სახლი	სოფელი ბალაძეები	
		ხარაულის სოფლის კლუბი	სოფელი ხარაულა	
		სოფლის სახლი	სოფელი ჯალაბაშვილები	
3	ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული	ახოს სოფლის კლუბი	სოფელი ახო	
		სოფლის სახლი	სოფელი ჩეტიკიძეები	
		სოფელ ცხმორისის კლუბი	სოფელი ცხმორისი	
4	წონიარისი ადმინისტრაციული ერთეული	წონიარისის კულტურის სახლი	სოფ. წონიარი	
5	ზვარეს ადმინისტრაციული ერთეული	ვაიოს სოფლის კლუბი	სოფელი ვაიო	
		კვამტის სოფლის კლუბი	სოფელი კვამტა	
		სოფლის სახლი	სოფელი ზესოფელი	
6	პირველი ადმინისტრაციული ერთეული	ზედა აგარის სოფლის კლუბი	სოფელი ზედა აგარა	
		სოფლის სახლი	სოფელი ქვედა აგარა	
		სოფლის სახლი	სოფელი კოლოტაური	
7	მახუნცეთი ადმინისტრაციული ერთეული	სოფლის სახლი	სოფელი უჩხითი	
		ზუნდაგის სოფლის კლუბი	სოფელი ზუნდაგა	
		სოფლის სახლი	სოფელი ზედა მახუნცეთი	
		სოფლის სახლი	სოფელი ჭინკაძეები	
8	მერისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ. მერისის კულტურის სახლი	სოფელი მერისი	
		სოფლის სახლი	სოფელი ნამონასტრევი	
		მერისის სოფლის კლუბი	სოფელი მერისი	
		ინაშარიძეების სოფლის კლუბი	სოფელი ინაშარიძეები	
		სიხალიძეების სოფლის კლუბი	სოფელი სიხალიძეები	
9	ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული	სოფლის სახლი	სოფელი კუჭულა	
		მემბინის სოფლის კლუბი	სოფელი მემბინა	